პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 238 (19679) ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

თავდადებული შრომისათვის

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავჯდომარეს ჰაკობი კაჟის ძე აიბას კარგად იცნობენ და პატივს სცემენ მთელი ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივი, მშრომელები. ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების, სამშობლოს სხვა ჯილდოების კავალერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნამდვილი კომუნისტი და მგზნებარე ინტერნაციონალისტი, კოლმეურნეობის თვალსაჩინო წინამძღოლი და ნიჭიერი ორგანიზატორი, იგი არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ოც წელიწადზე მეტია, რაც ჰაკობი აიბა სოფელ ლიხნის კოლმეურნეობას მეთაურობს და მთელი ამ წლების განმავლობაში ოდესღაც ჩამორჩენილი და ეკონომიკურად სუსტი მეურნეობა მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და გულდაჯერებით მიაბიჯებს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მწვერვალებისაკენ, აქ ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც დიდ შედეგებს აღწევენ სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში.

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მოპოვებული უთვალსაჩინოესი შედეგებისათვის, კოლექტიური იჯარის, შრომის დიდადნაყოფიერი მეთოდების ფართო გამოყენების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ჰ. კ. აიბას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

14 ოქტომბერს სამშობლოს ეს საპატიო ჯილდო მას საზეიმოდ გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მან გულთბილად მიულოცა ჰ. კ. აიბას გმირის წოდების მინიჭება, ესურვა მას ჯანმრთელობა, დიდი ხანის - ბედნიერება, ანალოგიური [illegible] საკეთილდღეოდ.

ჰ. კ. აიბამ მხურვალე მადლობა გადუხადა პარტიისა და მთავრობას თავისი შრომის ესოდენ დიდი დაფასებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ჯილდო აფხაზეთის ყველა მშრომელს ეკუთვნის. მან პირობა დადო, რომ კოლმეურნეობის, გუდაუთის რაიონის, მთელი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები ძალღონეს არ დაიშურებენ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების და ვალდებულებების წარმატებული შესრულებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასაჩქარებლად გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის განხორციელებისათვის.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ფ. ს. სანაკოევი. (საქინფორმი).

ხუთწლედის ორი წლის გეგმა — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

მხარი ავუბათ ინიციატორებს

ოგორც ცნობილია, ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სამხრეთკუზბასქვანახშირის“ გაერთიანების „რასპადსკაიას“ შახტის საწმენდი სანერგეების ვ. მ. გვოზდევის სამთო მუშათა ბრიგადის, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს „ვორკუტაქვანახშირის“ გაერთიანების „ვორგაშორსკაიას“ შახტის ა. ჰ. პოტაპოვის № 7 უბნისა და ნავთობის მრეწველობის სამინისტროს „სურგუტნავთობგაზის“ საბურღ სამუშაოთა სურგუთის № 2 სამმართველოს ოსტატის ვ. ლ. სიდორეკოს მბურღავთა ბრიგადის კოლექტივების დიდი შრომითი ნარმატებებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების და, ცხადია, უპირველესად ჩვენი მუშახეების და ნავთობმრეწველების ყურადღების ცენტრში მოექცა.

მოწინავე კოლექტივებმა ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად — შეასრულონ ქვანახშირის მოპოვების ორი წლის გეგმა და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება ერთ-ნახევარჯერ, ხოლო 1990 წელს — ორჯერ მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო დონეხთან შედარებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ზემოხსენებული კოლექტივების ინიციატივა და დაავალა სამინისტროებისა და უწყებების, დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელებს მოაწყონ შრომითს კოლექტივებში ამ ინიციატივის ფართოდ განხილვა და მხარდაჭერა.

ახლა საჭიროა ყველა შრომითს კოლექტივში შემოწმდეს, დაკონკრეტდეს, ღრმად გაანალიზდეს ამ მხრივ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, შეჯიბრებაში ჩაბმულთათვის საჭირო პირობების შექმნას, მათთვის შრომის კარგი ორგანიზაციისა და სანიმუშო მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ამ საქმეში ყოველი ხელმძღვანელისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის აქტიურ მონაწილეობას.

როცა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შემოწმებაზე ელაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მრავალ კოლექტივში განადდა შრომითი მეტოქეობა. ეს მოძრაობა დაიწყო თბილისელი მუშების, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატების მოწოდებით — ჩავებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით: „ხუთწლედის ორი წლის დავალება — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“.

ამ თაოსნობას თავის დროზე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქ. ტყიბულის ე. მინდელის სახელობის შახტის კოლექტივი და დაიმკვიდრა კიდეც მოწინავე პოზიციები. მათ კუზბასელთა და ვორკუტელთა ინიციატივის პასუხად დაიწყეს ახალი შესაძლებლობების ძიება და რეზერვების გამოვლენის ხარჯზე ახალ მიჯნებსაც ისახავენ. ცხადია, ზემოხსენებულ შახტებთან შედარებით, ტყიბულის ქვანახშირისა და, კერძოდ, ე. მინდელის შახტის მახსტაბი გაცილებით მოკრძალებულია, მაგრამ რეკორდების დამყარება მონდომების შემოხვევაში თურმე ადგილობრივი შესაძლებლობები გათვალისწინებითაც შეიძლება; მინდელელებმა 9 დღით ადრე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 9 თვის გეგმა. მომხმარებელს გეგმის ვადამეტებით ექვსი ათასი ტონა საკოქსე ქვანახშირი გაეგზავნა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სოციალისტურ ვალდებულებას. შრომის ნაყოფიერება, დავალებასთან შედარებით, 16,3 პროცენტით გაიზარდა. წარმატებით შესრულდა თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებული ვალდებულებაც. იანვარ-აგვისტოში ტონა ქვანახშირი მანეთითა და 9 კაპიკით გაიაფდა და ამით დიდძალი თანხა დაიზოგა.

ახლა აქ იმისათვის იბრძვიან, რომ ვადამდე შეასრულონ ვალდებულების ყველა პუნქტი. ის საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ო. სილაგაძე და დ. ბერიძე უდგანან სათავეში, კარგა ხანია ქვანახშირს ოქტომბრის ანვარიშში იღებს. გაზრდილი ვალდებულებების შესრულებას შემართებულ შრომასთან ერთად ხელს შეუწყობს სიახლეთა დანერგვა. ახლახან, მაგალითად, საექსპლოატაციოდ გადაეცა მექანიზებული სასკიპე ჭაური, რომლის შშნებლობა 560 ათასი მანეთი დაჯდა. ეს აჩქარებს ქვანახშირის ტრანსპორტირებას, აიოლებს საწმენდი სანერგეის მუშის შრომას, აუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა გამართული მუშაობისათვის ტყვარჩელში. მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა აქაურმა ქვანახშირის მომპოვებლებმა ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე შეასრულეს და დავალების გადამეტებით 10 ათასი ტონა სათბობი ამოიღეს. კარგად მუშაობენ ქვანახშირის მამდიდრებლებიც, რომლებმაც ზემოხსენებულ პერიოდში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ნავარაუდევზე ოთხი ათასი ტონით მეტი ქვანახშირი ვაუგზავნეს. ცხადია, მეშახტეთა თავდადებულ გარჯასთან ერთად წარმატებას განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ზრუნვა, შრომის ბრიგადული ორგანიზაციის დანერგვა, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმების ძიება. როგორც უკვე ითქვა, მატულობს ბრიგადული იჯარით მოუშავე კოლექტივების რიცხვი. ახლა ამ მეთოდით შრომობს სამი უბანი და ოცდაათი ბრიგადა, მალე სამეურნეო ანგარიშზე გადავა ყველა შახტი, რაც მოლიანად შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებს, კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვიდან გამომდინარე მითითებებსა და დასკვნებს.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ხუთწლედის ორი წლის დავალების შესრულების დიდი შესაძლებლობები აქვს მეორე და მესამე შახტის მრავალ ქვეგანაყოფს, აგრეთვე იმ ბრიგადებს, რომლებსაც გ. გაზდელიანი, რ. გვასალია, მ. ჭარბაძე, გ. ღვინჯილია, ვ. ნარჩილავა, ს. კეკეა და სხვა სამთოელები ხელმძღვანელობენ. ნაკლები დანახარჯებით მიზნის მისაღწევად ხუთწლედის ორი წლის გეგმის ვადამდე შესრულებაში მეშახტეებს დაეხმარება ტყვარჩელის ავტომაძრავების მართველთა სამმართველოს გვირაბგამყვანის რ. არშაბის ინიციატივა, რომელმაც გახსნა ეკონომიის ბირადი ანგარიში და რომელსაც ტყიბულელმა სამთოელებმაც დაუჭირეს მხარი. ყოველმხრივ საყურადღებო და გასავრცელებელია ტყვარჩელელთა თაობრობა დევიზით „საშუალოთა მაჩვენებლები — მოწინავეთა დონემდე“.

მისაბაძია „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების გვირაბგამყვანების ა. ჩუბინიძის, ი. მაჭარაშვილის, ა. ქურციკიძის, ელმავლის მემანქანეების ბ. გელაშვილის, ა. ყიფშიძის, ვ. ნადირაძის და სხვათა კეთილსინდისიერი შრომა. ისინი მნიშვნელოვნად უსწრებენ დროს და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

პარტიამ დაგმო ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში. არასის სჭირდება სიტყვიერი დაპირება და პარადულობა. თუ ვალდებულებას კისრულობ, მთლიანად აწონ-დაწონე შენი შესაძლებლობანი, დაანალიზეთ, როგორ შეასრულებ მას, მიუთითე იმ რეზერვებზე, რომელთა ძიება-გამოყენებითაც გადაწყვიტე მიაღწიო მიზანს. სხვაგვარი მოქმედება საქმეს ვერ წაადგება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ბოლოს და ბოლოს შრომის ნაყოფიერების ზრდა თვითმიზანი ხომ არ არის. იგი საჭიროა წარმოების ოდენობის ზრდისათვის.

ყველაფერი უნდა იღონონ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ადამიანის ნავთობგადასამუშავებელმა, თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების, ანმტის ბიოქიმიური, თელავის სარეშონტოფექანიკური, თბილისის საიუველირო, ქუთაისის მოტორმოლოკების [illegible] ქარხნებმა, სხვა საწარმოებმა.

მხარი დავუჭიროთ ქვეყნის მოწინავე მეშახტეთა და ნავთობშემოქმედებლთა ინიციატივას, ყველანი ჩავებათ ორი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბაღლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ღირსეულად შევხვდეთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

ნაკისრია დამატებითი ვალდებულებანი

რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად. კრებებზე მუშაბმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მოსამსახურეებმა გადასინჯეს წინათ ნაკისრი ვალდებულებები, იკისრეს ახალი. ძირითად ყურადღებას უთმობენ წარმოების ინტენსიფიკაციას, დისციპლინის განმტკიცებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას. შეჯიბრების ინიციატორთა შორის არის თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი.

გაერთიანების კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა უმრავლესობა და იკისრა ახალი, უფრო გადიდებული ვალდებულებანი.

კერძოდ, გადაწყვიტა გეგმის გადაჭარბებით გაასალოს ათი ათასობით მანეთის პროდუქცია, 0,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, დაზოგილი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით ორ დღეს იმუშაოს.

სამუშაო ადგილების ატესტაციის, საწარმოო რგოლებში ბრიგადული იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვის საფუძველზე გაერთიანებაში გადაწყვიტეს გამოათავისუფლონ 57 კაცი და ისინი სხვა სამუშაოებზე გამოიყენონ. ამამქედებენ ერთ კომპლექსურ-მექანიზებულ საამქროს, სამ ავტომატიზებულ ხაზს, 8 ერთეულ დიდმწარმოებლურ მოწყობილობას, ორ მანიპულატორს, რიცხვულ-პროგრამული მართვის რამდენიმე ჩარხს, ორ რობოტს. გადაწყდა, დაამთავრონ ტექნოლოგიური აღჭურვის ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის ათვისებისა და დანერგვისათვის მუშაობა, რომელიც მომდინარეობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრასთან ერთად.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი ატესტაციისათვის გათვალისწინებული პროდუქციის საერთო მოცულობაში 15 პროცენტამდე გაიზრდება.

ახალი ვალდებულებები ითვალისწინებს შრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასაც. ეს არის მუშათა სასადილოს, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შვილებისათვის პიონერული ბანაკის რეკონსტრუქცია და გაფართოება, მუშათა ახალი კადრების მომზადება, მძიმე კვალიფიკაციის ამაღლება, სხვა ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

ამას წინათ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მთავრობის ჯილდოები მიიღეს. მათ შორის არის გორის რაიონის ხვითის მეთხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივანე სამხარაძე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა.

სურათზე: ივანე სამხარაძე შვილიშვილთან ერთად.

ვ. ბენგბერის ფოტო.

დამაჯერებელი შედეგები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). დიდი აღმავლობით იშრომა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა. 9 თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და დავალების გადამეტებით 2 მილიონ 581 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. წარმოების ზრდის ტემპმა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 104,8 პროცენტი შეადგინა. 103,2 პროცენტით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. დაიზოგა 560 ტონა კოკსი, 2250 ტონა კვარციტი და 9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მომჭირნეობამ უზრუნველყო პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შესრულება. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეოთხე და მეხუთე საამქროთა კოლექტივები.

მეტალურგთა მიზანმიმართული რიტმული მუშაობა გრძელდება. მათი გადაწყვეტილებაა უმატონ შრომის ტემპს, ამთავითვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის გეგმის შესრულებას, უფრო დამაჯერებელი შედეგებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს.

მუდამ მზად ვიყოთ ახალი გამარჯვებებისათვის

ახალი წარმატება ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებს ჯერ არასოდეს არ ჰქონიათ. იგი მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა ამაყნინანდელ მეცხრე სპარტაკიადაზე მაია აზარაშვილმა. იგი დაჯილდოვდა ორი ოქროს medali ლათინ სპორტში—სახეობაში, რომელშიც კონკურენცია ტრადიციულად მუდამ ძლიერია. ქმართან — ასევე მძლეოსანთან, პრესტიჟული ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორთან ზურაბ მემარნეშვილთან ერთად მან საქართველოს ნაკრები გუნდის „ოქროსბანდში“ მნიშვნელოვანი „საოჯახო“ წვლილი — 121,5 ქულა შეიტანა.

ამაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ქვეყნის უდიდესი სპორტული ფორუმის ასპარეზობანი, გაიმართა დაწერილებითი საუბარი რეზვედრაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, მათს მწვრთნელებს, ქართული სპორტის განთქმულ ვეტერანებს ესაუბრნენ ამხანაგები ჰ. პატიაშვილი, ვ. ალავიძე, გ. ენუქიძე, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე.

სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლების შედეგების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სპარტაკიადის მონაწილეები — ოქროს medalebisani, ტანმოვარჯიშე ა. ლებედევი, ბრინჯაოს პრიზიორი, ზუთქიდელი ვ. იაგორაშვილი, ვერცხლის medalis მფლობელი წყალბურთელთა გუნდის კაპიტანი მ. გიორგაძე, ბატუტზე ხტომებში გამარჯვებული რ. ხოფერია, ნაკრები გუნდების მწვრთნელები დ. ხაბულიანი და ნ. სალაძე. მათ ილაპარაკეს შეჯიბრების პერიპეტიებზე, რესპუბლიკის ცალკეულ სახეობათა სპორტის წინაშე მდგომ პრობლემებზე.

ახალგაზრდობას, რომელმაც წარმატებით მიიღო ესტაფეტა უფროსი თაობებისაგან, გზა დაულოცა სახელგანთქმულმა მოჭიდრაკემ ნ. გაფრინდაშვილმა.

სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გამოავლინეს დიდი ოსტატობა, დარაზმულობა, ნებისყოფა და დისციპლინა, მოიპოვეს მეშვიდე ადგილი საერთო-გუნდურ ჩათვლაში. ეს განსაკუთრებით გამორჩდა შეჯიბრების დასკვნითს ეტაპზე, როცა გავუსწარით უზბეკეთის, ლიტვისა და ლატვიის გუნდებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებს უსწრებდნენ წინა სპარტაკიადაზე. მოპოვებულია 45 medali, აქედან 19 — ოქროსი (აქამდე ყველაზე მეტი ჯილდო მოპოვებული გვქონდა 1971 წელს — 17). საპრიზო ადგილების რიცხვით ჩვენმა გუნდმა მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიზიარა უზბეკეთის ძლიერ გუნდთან.

იყო დრო, ითქვა შეხვედრაზე, როცა საქართველოს ნაკრებს მეხუთე ადგილიც კი ეკავა საერთო-გუნდურ ჩათვლაში. მაგრამ ყოველ სპარტაკიადასთან ერთად იზრდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა ოსტატობა, წლითიწლობით სულ უფრო ჭირს მედლების მოპოვება, გაიზარდა თითოეული მათგანის ფასი. ამიტომ დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ რეზერვებისათვის, მეტი გულმოდგინებით ვიბრძოლოთ ჯილდოებისათვის.

არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციაში შემავალი ექვსასი სპორტსმენიდან ბევრი ფინალურ სტარტებზე თავის შესაძლებლობებზე ცუდად გამოვიდა, აჩვენა დაბალი შედეგები. ჩავარდნად უნდა მივიჩნიოთ მოკიდრაკეთა, ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ხელბურთელთა, კლასიკური სტილის მოკიდავეთა და სამბისტთა, ცხენოსანთა, მსროლელთა გამოსვლები. სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადასთან შედარებით თერმეტ სახეობაში გაუარესდა შედეგები, 14 სახეობაში პროგნოზები არ გამართლდა. ყოველივე ამიდან უნდა გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები, შევნარჩუნოთ ზოგიერთ სახეობაში მოპოვებული პოზიციები და აღმოვფხვრათ ჩამორჩენა სხვებში.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტსმენთა წარმატებანი უშუალოდ არის დამოკიდებული ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური სფეროების მდგომარეობაზე. სახელოვან შრომითს საქმეებთან განუყრელად არის დაკავშირებული სპორტსმენთა შრომაც, რომელიც ყველას როდი ხელეწიფება. გამარჯვება სპარტაკიადაზე თვითმიზანი არ არის, შეიძლება წარუმატებლობაც განიცადო, მაგრამ უნდა გამოავლინო ნებისყოფა და ხასათი, რაც მაგალითი იქნება ათასობით ახალგაზრდისათვის. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ხშირად საყვარელი სპორტსმენების გამოსვლამ შეიძლება განსაზღვროს შრომითი განწყობა კოლექტივებში.

დღეს არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტს ახლა უდიდესი ყურადღება ეთმობა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კომკავშირმა, სპორტულმა საზოგადოებრიობამ სავსებით უნდა შეიგნონ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს ახალგაზრდობისათვის. ჯერჯერობით ყველა ბალაქსა და რაიონს როდი აქვს ერთნაირი პირობები მისი განვითარებისათვის, და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

დაისვა სპორტსმენთა წვრთნის, სწავლის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების საკითხები. მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ შესაბამისი შეფასება უნდა მისცეს სპორტსმენთა საქმიანობას, შეუქმნას მას ყველა შესაძლებლობა, რათა შეჯიბრებისათვის მზადებისა და მონაწილეობის რთულ პროცესში ისინი თავს მოწყვეტილად არ გრძნობდნენ ოჯახისაგან, ჰქონდეთ ცხოვრების ჩვეული პირობები. სპორტსმენებმა კი, თავის მხრივ, უნდა გაამართლონ ნდობა და ყურადღება, იყვნენ სამაგალითონი არა მარტო სპორტში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც — თავიანთი მოქალაქეობრიობით, მიზანსწრაფვით, პატრიოტიზმით, ინტერნაციონალური ერთიანობით, პრინციპულობით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე, არა მარტო ცნობილი, არამედ რიგითი სპორტსმენების, სულით და სხეულით ჯანსაღი თითოეული ადამიანის გავლენა ახალგაზრდობაზე ისეთი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის ნარკომანია და ალკოჰოლიზმი. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა უკეთესი პროპაგანდა გიგენთან ფართო მასებისათვის შეუმჩნეველ მწვრთნელთა შრომას. გაიზარდოს მომთხოვნელობა იმათდამი, ვინც მუშაობის მრავალი წლის მანძილზე ვერ მოამზადა ვერც ერთი მაღალი კლასის სპორტსმენი.

სპარტაკიადის გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცეს ადრესი პატაკეთურთ, რომელშიც ისინი რესპუბლიკის მთელი სპორტული საზოგადოებრიობის სახელით აღუთქვამენ პარტიას, ხალხს, რომ სპორტულ ასპარეზობებზე, შრომასა და სწავლაში მაღალი მიღწევებით, თავიანთი აქტიური ცხოვრებისეული მოქალაქეობრივი პოზიციით გაამართლებენ მათს ყურადღებას, სიყვარულსა და ზრუნვას. (საქინფორმი).

კიმ ირ სენი მნვევა სსრ კაჭშირს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოწვევით კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ ირ სენი საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა მომდინარე წლის ოქტომბრის მესამე დეკადაში.

თავამოდავალთა მადლიერი ხსოვნა

მარად ცოცხალი პოეტი, ნამდვილი პატრიოტი, სამშობლოს ერთგული შვილი — ასეთია თანამედროვეთა წარმოდგენაში ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის დაბადების 200 წლისთავი ქართველმა ხალხმა აღნიშნა ნოდარიკ შშობლიური ლიტერატურის დიდი, ნათელი დღესასწაული.

ამ დღესასწაულის შთამბეჭდავი აკორდი გახდა საიუბილეო საღამო, რომელიც 13 ოქტომბერს გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ნ. რ. საჯაია.

— ქართველ ხალხს კანონიერად ეამაყება თავისი სახელოვანი შვილი, ბოტი და მეომარი ალექსანდრე ჭავჭავაძე, — თქვა საღამოს გახსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ცეცეშვილმა. ქართული რომანტიზმის მამამთავრის, შშობლიური ლიტერატურის რეფორმატორის შემოქმედება მარად ახალგაზრდაა. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო პოეტის დამსახურება შშობელი ხალხის, მშობლიური ლიტერატურის წინაშე. დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ მისი სახელი რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის სიმბოლო გახდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია, რომელშიც შეხამებულია ნიჭისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის საოცარი ძალა, ახალ-ახალი თაობების კეთილგნება ხდება და ამკვიდრებს სიკეთისა და სამართლიანობის, ჰარმონიისა და სილამაზის იდეალებს. საბჭოთა ეპოქამ მას ღირსეული ადგილი მიუჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამ დღეებში თითქოს მეორედ იბადება: იუბილესათვის გამომცემლობა „მერანმა“ გამოუშვა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებანი. წიგნში შეტანილია ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, ნარკვევები, პიროდი წერილები, თარგმანები.

ამაღელვებელი იყო სოციალისტური შრომის გმირის პოეტ-აკადემიკოსის ი. აბაშიძის გამოსვლა.

— პოეზიით გაცისკროვნებული და განმტკიცებული რუსი და ქართველი ხალხების უანგარო მეგობრობის სათავეებთან იდგა ჩვენი დიდი წინაპარი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის 200 წლისთავის იუბილე დღეს ჩვენ — მის შთამომავლებს აღგვიძრავს სურვილს ჩავუფიქრდეთ ბევრ რამეს, იმას, თუ როგორ გავუფრთხილდეთ და შევინარჩუნოთ ეს სულიერი ძმობა.

თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, ეროვნულ „მოსკვას“ მთავარმა რედაქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა მ. ალექსიევმა, კერძოდ, თქვა: განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლში გულთბილად ხვდებოდნენ რუს პოეტებს, ხოლო ალექსანდრე გრიბოედოვმა, რუსეთის დიდმა შვილმა, სამუდამომ დაუკავშირა თავისი ბედი საქართველოს. დღეს მოწიწებით ვლაპარაკობთ ამაზე, როცა მადლიერებით აღვნიშნავთ რუსულ-ბოტური სიტკვისადმი ქართველი ხალხის გულწრფელ სიყვარულს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების წარუვალ მნიშვნელობაზე ილაპარაკეს საღამოზე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა ვ. ჭელიძემ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ა. ჯონუამ, ცნობილმა ოსმა მწერალმა ნაფი ჯუსოითიმ, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყ

კრიტერიუმი ერთია — ეკონომიკური შედეგი

ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის სახელმწიფოებრივი ამოცანა ახალ მოთხოვნებს უყენებს საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომელსაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, ინტეგრაციის ახალი ფორმების ძიებასა და რესპუბლიკის საექსპორტო პოტენციალის ზრდაში.

ეს კი, ცხადია, საქმისადმი ახლებურად მიდგომას, პალატის საქმიანობის არსებით გარდაქმნას საჭიროებს. გარდატეხის პროცესი უკვე დაიწყო, და მის შთავარ მომენტებზეა საუბარი ინტერვიუში, რომელიც რედაქციას მისცა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ახვლედიანმა.

— თქვენთან საუბრის მიზეზი გახდა ამას წინათ გამართული პალატის ნამდვილი წევრთა საერთო კრება, რომელიც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა. თქვენს მოხსენებაში და კამათში მონაწილეთა გამოსვლებში არაერთხელ გაისმა მოწოდება „შეიცვალოს ათვლის წერტილები“ პალატის საქმიანობაში. რა ცვლილებებზეა ლაპარაკი?

— საქმე ეხება ცვლილებებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გარდავქმნათ ჩვენი მუშაობა დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით, განვითარების ექსტენსიური პრაქტიკიდან გადავიდეთ ინტენსიურ გზაზე. უნდა ვისწავლოთ მუშაობა სრულიად ახლებურად. ამისათვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შევცვალოთ ათვლის წერტილები.

ჯერ ერთი, საჭიროა ვმუშაობდეთ არა პალატის ყველა წევრთან ზოგადად, არამედ თითოეულთან ცალ-ცალკე, რაც, ცხადია, მოითხოვს მათთან საამქრო უკავშირის დამყარებას.

მეორე, არ შემოვიფარგლოთ ამით, რასაც საზღვარგარეთელი პარტნიორები გვთავაზობენ, და ჩვენ თვითონ აქტიურად ვეძებდეთ იმას, რაც სადღეისოდ ნამდვილად სჭირდება რესპუბლიკას.

მესამე, გამოფენებსა და ბაზრობებზე ჩვენი მონაწილეობის შედეგებს ვიფასებდეთ არა მარტო მათი პროპაგანდისტული, არამედ პრაქტიკული კომერციული ეფექტიანობის თვალსაზრისით.

— ყოველი ეს დებულება ეხება პალატის საქმიანობის მაგისტრალურ მიმართულებებს. რას იტყოდით მათს შესახებ უფრო კონკრეტულად? დავწყოთ თუნდაც პალატის წევრებთან თქვენი მუშაობით...

— ამჟამად რესპუბლიკის 250-ზე მეტი მსგავსი საწარმო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი პალატის წევრია, სარგებლობს მისი მომსახურებით და ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევასრულოთ მნიშვნელოვანი როლი მათი პოტენციალის გაზრდაში, კერძოდ, ჩვენს მეცნიერებსა და სპეციალისტებს გავაცნო მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უკანასკნელი მიღწევები. ამის შესაძლებლობას იძლევა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გამოთვლითი ცენტრი, რომელიც ჩართულია მონაცემების ბაზის საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რესპუბლიკის საწარმოების პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარებას პარტნიორებთან სოციალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ჩვენი შუამავლობით პირდაპირი კონტაქტები მყარდება მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ და უნგრეთის სპეციალისტებს შორის. უნგრეთის მხარემ კომბინატში წარმოების პროცესის გულდასმითი ანალიზის შემდეგ წარმოადგინა თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც კონკრეტულ ტექნიკურ და კომერციულ წინადადებებს შეიცავს. მზთ დიდი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა.

კომბინატისათვის გამოიძებნა სხვა პარტნიორიც. დასავლეთგერმანულმა ფირმამ „კონსალტინგმა“ შემოგვთავაზა წარმოების პროცესის მოდერნიზაციის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ საწარმოსთან კოოპერაციით შეკერის ნაწარმი კომბინატის ქსოვილისაგან, აგრეთვე გვპირდება, რომ ხელს შეუწყობს პროდუქციის გასაღების საგარეო ბაზარზე.

ეს ჩვენი საწარმოების საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ახალი ფორმაა. მაგრამ, უკვე შეიძლება ითქვას, არცთუ ერთადერთია. ვლადივოსტოკში ყოფნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა უცხოეთის ფირმებთან შერეული საზოგადოებებისა და საწარმოების შექმნის პერსპექტიულობა. ჩვენ მზად ვართ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენს წევრებს ასეთი ფორმის თანამშრომლობის დამყარებაში. კერძოდ, ამჟამად ვსწავლობთ ქარხანა „აგრეგატისა“ და იტალიის ერთ-ერთი ფირმის შერეული საწარმოს შექმნის შესაძლებლობას.

— ერთხელ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ ეძებდნენ... იმპორტული მოწყობილობის შეძენის მსურველ ორგანიზაციას. და, მგონი, ახეთი ორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში არ აღმოჩნდა. როგორ მოხდა, რომ ძვირად ღირებული მოწყობილობა, რომელშიც ვალუტაა გადახდილი, უეცრად მყიდველისათვის უმაქნისი აღმოჩნდა? ხშირად ისიც გვესმის, რომ შესყიდული იმპორტული მოწყობილობა წლობით დგას დაუმონტაჟებელი და გამოუყენებელი. რა უნდა ვიღონოთ სამომავლოდ, რათა მსგავსი მფლანგველური შეცდომები აღარ განმეორდეს?

— ამის მიზეზი სრულიად უბრალოა. ზოგიერთი ცალი მეურნე ყველაფერს უცხოურს ეტანება, მაგრამ, როგორც შემდეგ ირკვევა ხოლმე, თურმე მისი საწარმო მოუმზადებელია მისი გამოყენებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ეწყობა საზღვარგარეთის ფირმების გამოფენები და სიმპოზიუმები. ბუნებრივია, მათი წარმომადგენლები ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ ჩამოტანილი ნაწარმის გაყიდვას. მაგრამ ჩვენ არ გვმართებს აჩქარება, და უნდა ვყიდულობდეთ მხოლოდ იმას, რაც ნამდვილად გვჭირდება და რასაც მაშინვე ავამოქმედებთ.

უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ჩვენთან გამართული სიმპოზიუმებიც. მაგალითად, მაისში თბილისში გაიმართა „პოლონეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები.“ პოლონელმა პარტნიორებმა წინასწარ გვთხოვეს ჩვენი სპეციალისტებისათვის საინტერესო ლექციების თემები. მაგრამ, რა გამოვიდა? ნახევრად ცარიელი დარბაზები, სადაც ლექციები იმართებოდა, აშკარად მოწმობდა, რომ ჩვენი ამხანაგები, მორიდებულად რომ ვთქვათ, სერიოზულად არ მოეკიდნენ თემების არჩევას.

— ხშირად გვსმენია და წაგვიკითხავს საქართველოს ექსპოზიციების წარმატების ამბავი საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე. რამდენიმე ბაზრობაზე მეც გახლდით და, მართალი გითხრათ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ უდავო წარმატებას უფრო მეტად განაპირობებდა კულტურული პროგრამა და ჩვენი ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, ვიდრე თვით ექსპონატები. დიდი ხანია მათ მიდლები და დიპლომები არ დაუმსახურებიათ. კონცერტები, ცხადია, საჭიროა, მაგრამ საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე შესრულებული ექსპონატები, ალბათ, უფრო დამაჯერებლად წარმოადგენენ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს.

— გეთანხმებით. ამიტომაც, მომავალში ჩვენი მონაწილეობა საზღვარგარეთის გამოფენებსა და ბაზრობებში, როგორც უკვე ვთქვი, უწინარეს ყოვლისა, შეფასდება არა მარტო პროპაგანდისტული, არამედ კომერციული ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. ან კი რა იმედი უნდა გვქონოდა ჩვენი გამოფენებისა, როცა წინათ მათი ექსპონატები მრავალი წლის მანძილზე თითქმის არ განახლებულა.

ახლა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოსთან ერთად მიმდინარეობს საზღვარგარეთის ექსპოზიციებისთვის გათვალისწინებული ექსპონატების ნომენკლატურის გადასინჯვა. მათი გაახლება მოხდება საერთაშორისო ბაზარზე პერსპექტიული კონკურენტუნარიანი საქონლის ბარეზე.

საუბარში უკუკავშირი ვახსენე, და მინდა საზღვარგარეთის ღონისძიებების კიდევ ერთ ასპექტს შევეხო. დიდი საერთაშორისო ბაზრობა არა მარტო იმის საშუალებას იძლევა, რომ შენი ნახელავი წარადგინო, არამედ სხვებისაც ნახო. იგი ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა სპეციალისტებისათვის, რომლებსაც შეესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ მოწინავე მიღწევებს თავიანთ სფეროში. სამწუხაროდ, ბაზრობებსა და გამოფენებზე მივლინებულ სპეციალისტთა ანგარიშების ანალიზი მოწმობს, რომ ეს შესაძლებლობა, როგორც წესი, თითქმის მთლიანად გამოუყენებელია. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს როგორც სპეციალისტთა კანდიდატურების შერჩევას, ისე მათდამი მომთხოვნელობის გაზრდას.

...ასეთია პალატის საქმიანობის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ გავააქტიუროთ საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობებში.

ესაუბრა
მ. ხანანაშვილი.

საერთო ძალებით

მთავარი მძღოლების მიზეზით ჩადენილი ავარიების შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ წელიწადს საშუალოდ იღუპება 50 და სახიჩრდება 200 კაცი. მკვლელობისა და ბოროტი ხულიგნობის ფაქტების უმრავლესობა ხდება ალკოჰოლის ზემოქმედებით. ამ მშრალი ციფრების მიღმა დგას მრავალი ადამიანის ტრაგედია, გულისტკივილი, ტანჯვა. ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ალკოჰოლის გაყიდვით მიღებული თითოეული მანეთი სახელმწიფოს 2-3 მანეთ ზარალს აყენებს. ამას ემატება კიდევ მორალურ-ზნეობრივი ასპექტები, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, ოჯახის ნგრევა, ტრავმატიზმი ლოთობის ნიადაგზე, საწარმოო წუნი, დაბალი შრომის ნაყოფიერება.

— საშინელებაა იმის წარმოდგენა, თუ რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას, დროზე რომ არ მიგვეხედა საქმისათვის, — თქვა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ამირიძემ. — ისეთი მახინჯი მოვლენის დაძლევა, როგორიც ლოთობაა, მარტო ის როდია, რომ ვებრძოლოთ ჩვენი ცხოვრებისა და კომუნისტური მორალისათვის უცხო მავნე ჩვეულებებსა და გადმონაშთებს. მისი სოციალურ-პოლიტიკური როლი გაცილებით უფრო ფართოა, რადგან ალკოჰურუს ადამიანის ფიტტორს — ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ ძირითად სოციალურ რეზერვს.

დღეს მაგარი სასმელების მოყვარულებზე ზემოქმედების ღონისძიებებს მიმართავენ არა მარტო სახელმწიფო ორგანოები, არამედ საზოგადებრივი ორგანიზაციებიც. მუშაობას აქტიურებენ სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოებანი.

ამ საქმისათვის გვერდი არ აუვლია არც — წითელ ჯვრის საზოგადოებას. ჩვენ აქტიურად ვქმნით ნარკოლოგიურ საგუშაგოებს, რომლებიც უკვე დღეს მოქმედებენ ბევრ სამრეწველო საწარმოში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ასეთი საგუშაგოების წევრები ავლენენ სპორტიანი სასმელების მოყვარულთ, ეწევიან მათთან პროფილაქტიკურ მუშაობას.

— მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმისადმი საერთო ნეგატიური დამოკიდებულებისას ჯერ კიდევ შენარჩუნებულია „ალკოჰოლის კულტურული გამოყენება“ როგორც უწყინარი ტრადიცია, — თქვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ჰიგიენური განათლების რესპუბლიკური ცენტრის მთავარმა ექიმმა ვ. გოცაძემ. — უფრო მეტიც, ლოთობა და ალკოჰოლიზმით დაავადება ხშირად მიჩნეულია იმათ ხვედრად, ვისაც „არ შეუძლია სმა, არ იცის თავისი ნორმა“. აქედან გამომდინარეობს ლიბერალური დამოკიდებულება სპირტიანი სასმელების მოყვარულებისადმი, სუსტი ბრძოლა მავნე ჩვეულების წინააღმდეგ, ფხიზელი, ჯანსაღი ტრადიციების შემუშავებისათვის. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას ანტიალკოჰოლურმა პროპაგანდამ, რომელსაც მასობრივი და შეტევითი ხასიათი უნდა მიენიჭოს.

— დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას, ოლქში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სსრ ნარკომფინანსოს ღონისძიებებს, რომლებსაც საფუძველად უდევს ბრძოლა ალკოჰოლიზმთან, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმების გამოყენება, თქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა. — საქმე ხომ ეხება ნეგატიურ მოვლენას, რომელიც მოქმედებს ჩვენს სიძნელეებზე, ნაკლოვანებებზე, შეცდომებზე, მაშასადამე, მას უნდა ვებრძოლოთ სამართლებრივი ზემოქმედების მეთოდებიანაც, მკაცრად დავიცვათ ლოთობისა და არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის კანონები.

ამ ბოროტების დაძლევა შეიძლება მხოლოდ საერთო ძალებით. ამაზე ილაპარაკეს საზოგადოებრივი ნარკოლოგიური საგუშაგოებისა და სამსახურების თბილისში გამართული რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მონაწილეებმა, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა. მათი მოქმედების კოორდინაციამ, როგორც ცნობილია, უკვე მოგვცა დადებითი შედეგები, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს ვართ.

(საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ „კომუნისტს“ უპასუხებენ

ლოთობის მძიმე შედეგი

მიმდინარე წლის 6 ივნისის ნომერში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „სმას გადაყოლილნი“, რომელშიც ლაპარაკი იყო სოფელ ფარცხანაყანევთან მომხდარი მძიმეშედეგიანი ავტოავარიის შესახებ. ამის გამო ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რ. ჭეიშვილი** გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილ ფაქტებს პრინციპული შეფასება მისცეს ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ქალაქის შესაბამის საწარმოდაწესებულებებში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზეც ერთხმად დაგმეს დანაშაული.

ამასთან ალკ რიგებიდან გაირიცხა დანაშაულის აქტიური მონაწილე ბ. ბერგაძე. შვილის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაცილების წრეგადასულ ღონეობად გადაქცევის გამო, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულს, ნ. წერეთელი ვარციხესის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების დირექციამ გადაყვანა თანამდებობიდან გამოძიების დამთავრებამდე, ხოლო გ. კილაძისათვის დადებითი დახასიათების მიცემის საქმეში გამოვლენილი ლიბერალობისათვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საშენ მასალათა სარეწველო საწარმოს დირექტორის მოვალეობის შესრულებელს თ. ცირეკიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ქვის დამმუშავებელი საამქროს უფროსი გ. ტაბუცაძე განთავისუფლდა თანამდებობიდან. სამრეწველო საწარმოს ოთა პარტიულმა კრებამ საყვედური გამოუცხადა სკკპ წევრს, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეს მ. ბერიძეს. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად. მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომლის დამთავრების შემდეგ აღნიშნულ ფაქტს ერთხელ კიდევ მიეცემა მწვავე შეფასება.

წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანევთან მომხდარი ავტოავარიის ფაქტი აღიქვეს როგორც იმ ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოლონ ლოთობასა და ალკოჰოლიზმს, მუშაობის გააქტიურების მიზნით მომზადდა და გაიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გასვლითი გაფართოებული სხდომა. სხდომაზე პრინციპული შეფასება მიეცა ქ. ქუთაისში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 90-მდე სავაჭრო ობიექტს აეკრძალა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, ამ საქმეში საკრძნობლად გააქტიურდა საქალაქო პრესა, შრომითის კოლექტივებში სისტემატური ხასიათი მიეცა ლექციების, დისპუტებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობას ალკოჰოლიზმის მავნებლობის საკითხებზე.

უკანასკნელ პერიოდში ქალაქში საგრძნობლად იკლო სამეფიცინო გამოსაფხიზლებელში მოხვედრილ პირთა რიცხვმა. სომთვრალის ნიადაგზე მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაული კი საგრძნობლად შემცირდა.

ქ. ქუთაისში მომავალშიც სერიოზული და პრინციპული მუშაობა გაგრძელდება მოსახლეობაში სოციალისტური ცხოვრების ნორმებისა და ჯანსაღი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის.

შენების წერტილები

დიდი სამუშაოები შესრულდება მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტზე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. გათვალისწინებულია 2,3 ათასი კილომეტრი მაგისტრალური რკინიგზის მშენებლობა, ოთხი ათასი კილომეტრი მეორე მთავარი ლიანდაგის დაგება, რვა ათასი კილომეტრი ლიანდაგების ელექტრიფიკაცია, სამრეწველო რკინიგზების ქსელის გაფართოება და არსებული რკინიგზების რეკონსტრუქცია.

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში მშენებლებთან ერთად დიდი როლი უნდა შეასრულონ დამეგმარებლებმაც. მათი სამუშაოები შემკვეთის „ტექნიკური მოცულობის“ დაზუსტებით იწყება და გრძელდება ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე. მრავალი საპროექტო ინსტიტუტი და მათი ფილიალებია დასაქმებული რაციონალური და საიმედო საპროექტო გადაწყვეტილების მისაგნებად. მათ შორის არის ამიერკავკასიის სახელმწიფო საძიებო-საპროექტო ინსტიტუტიც. მისი სამოქმედო არე ოფიციალურად განსაზღვრულია ჩრდილო-კავკასიის, აზერბაიჯანის და ამიერკავკასიის რკინიგზების რეგიონებით. სინამდვილეში კი მის საქმიანობას ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონებშიც კარგად ცნობენ.

ტერიტორიები რკინიგზების დაპროექტებისათვის აღსავსეა სიძნელეებით და ამ მხრივ ჩვენი სამუშაო პირობები მკვეთრად გამოირჩევა სხვა ინსტიტუტების პირობებისაგან, განსაკუთრებით ახლა, როდესაც საჭიროა ცხოვრებით ნაკარნახევი მძიმეწონიანი მატარებლების მოძრაობის უზრუნველყოფა. ადვილი როდია ალმართიანი და მთებიან-უფსკრულიანი რელიეფების „შერიგება“ მაგრამ, საინტერესო საპროექტო პრობლემებმა და ტრადიციად ქცეულმა ენთუზიაზმმა, საფუძვლიანმა მეცნიერულ-ტექნიკურმა მომზადებამ გამოაწრთო სპეციალისტები სირთულეთა დაძლევაში.

მრავალი მხარე დაამშვენა ინსტიტუტის გამოცდილი დამგეგმარებლების გონიერმა გარჯამ: შავი ზღვის სანაპირო შესანიშნავი ვაგზლებით (განსაკუთრებით სოხუმი და გაგრა), ქ. როსტოვი — თანამედროვე რკინიგზის ვაგზლის ბრწყინვალე შენობით გამშვენიერდა. ჩვენი პროექტით მოეწყო თბილისის მეტროპოლიტენის დარბაზები, საგარეუბნო მატარებელთა მოძრაობისათვის კი ბორჯომის ვაგზალი აიგო.

ინსტიტუტი 1936 წელს შეიქმნა, აქ მრავალი შრომისა და ომის ვეტერანი მუშაობს, ისინი მზრუნველად ზრდიან ახალგაზრდებს, ეხმარებიან სიძნელეების დაძლევაში. მთაში შეჭრილი ტრასის გაყვანები დიდ სირთულეებს აწყდებიან, ზოგჯერ ხიფათსაც. ჩვენი ინსტიტუტის საძიებო ექსპედიციებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა მიუვალ მთა-ღრეებში ტრასის ასათვისებლად საჭირო ცემენტით სავსე ტომრებისა და პალოების საკუთარი ზურგით ატანა.

მეთორმეტე ხუთწლედი კიდევ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს დამგეგმარებლებს. რკინიგზის მშენებლობის დამტკიცებული პროექტი სხვადასხვა ინსტანციაში მრავალგზის აწონილ-დაწონილი, ჯიდილში გამარჯვებული და განხორციელებისათვის უფლებამოსილი დოკუმენტია. ჩვენ ამ ეტაპზე ვმუშაობთ ამ დოკუმენტის ფარგლებში. ეს ნიშნავს, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, ინჟინერიულ-ტექნიკურ ამოცანებს ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკა. ეს ნიშნავს, ეფექტიანად ვარჯიშობ ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსებს, ეს ნიშნავს, ეფექტიანად ვეხმარებიან

პოლიტიკა
ფაქტები • მოვლენები

მ. ს. გორბაჩოვის წიგნი იაპონიაში

ტოკიო. 18 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებისა და სტატიების აკრ გამოცემული კრებულის იაპონიის საზოგადოებრიობისათვის წარმოდგენის ცერემონია.

ეს წიგნი გამოიცა საერთაშორისო ცხოვრების მეტად პასუხსაგებ პერიოდში, თქვა თავის მისალმებაში იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საპარლამენტო ასოციაციის თავმჯდომარემ, პარლამენტის დეპუტატმა მპართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან იოსიო საკურაუტომ. კრებულის პუბლიკაცია შესაძლებლობას გვაძლევს პირველწყაროდან გავეცნოთ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომელიც იაპონელი ხალხის დიდ ინტერესს იწვევს.

პარლამენტის დეპუტატმა იაპონიის სოციალისტური პარტიისაგან ჰიდეიუკი სეიმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა: ახლა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ხელი შეეუწყოთ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგის განგრძობას ბირთვული განიარაღების, ომის თავიდან აცილებისა და დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის. იმედი გვაქვს, რომ გონიერება დაამარცხებს უნდობლობასა და „ცივი ომის“ ლოგიკას, აღნიშნა მან.

მ. ს. გორბაჩოვის წიგნი იაპონურ ენაზე, აღნიშნა დასასრულ ჰ. სეიმ, საშუალებას მოგვცემს შევავსოთ საბჭოთა კავშირის შესახებ ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობა, იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორი მეზობელი ხალხის მეგობრობის განვითარებას.

ცერემონიას დაესწრნენ პარლამენტის დეპუტატები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისაგან, ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის წამყვანი ორგანოების წარმომადგენლები.

სსრ კავშირი მტკიცედ ესწრაფვის მშვიდობას

გამოსვლაურებები რეიკიავიკის შეხვედრაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია, რომელზეც მან ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის შედეგების თავისებული შეფასება, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, სხვადასხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ: ხელმძღვანელობს რა იმით, რომ მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა გაბედული, პასუხისმგებლური მოქმედება, საბჭოთა კავშირმა შეხვედრაზე შეიტანა მნიშვნელოვან წინადადებათა პაკეტი, რომლებიც, მათი მიღების შემთხვევაში, მოკლე დროში უზრუნველყოფდნენ გარდატეხას ბირთვული იარაღის შეზღუდვისათვის ბრძოლის ყველა მიმართულებით, თავიდან აგვაცილებდნენ ბირთვული ომის საფრთხეს, დასაბამს მისცემდნენ უბირთვო მსოფლიოს გზაზე წინსვლას. შეხვედრის მონაწილენი თავისი მნიშვნელობით უდიდეს გადაწყვეტილებათა მიღების მიჯნაზე იყვნენ, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის მიზეზით, რომელიც იმედოვნებს, რომ კოსმოსის მეოხებით მიიღწევს სამხედრო უპირატესობას, ეს ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვეს. საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც არ გადაუხვიოს მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის გამიზნულ მტკიცე გეზს.

ვაშინგტონი. „ვაშინგტონ პოსტი“ წერს: რეიკიავიკის პრესკონფერენციის დროს მ. ს. გორბაჩოვმა წუხილით აღნიშნა, რომ ამერიკის მხარე ვერ იჩენს მოქნილობას „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ საკითხში. როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, მოსკოვს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკითხში ძვრები მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრისა და შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ შესაძლო მომავალი შეთანხმების გასალებად მიიჩნია. მოსკოვმ მოუწოდა ვაშინგტონს, გადასინჯოს პოზიცია, რომელიც მას უკავია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური სისტემის საკითხში. გაზეთი წერს: სწორედ იმან, რომ ადმინისტრაცია ერთგულს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამას, შეუშალა ხელი ორი ლიდერის პროგრესს ბირთვული არსენალების ბევრად შემცირების გზაზე, რადგან მოსკოვის რწმენით, კოსმოსში განლაგებული ამერიკული იარაღი ნიშნავს საბჭოთა კავშირს.

ეი-ბი-სი ტელეკომპანია აღნიშნავს: მოსკოვი მოგებული დარჩა რეიკიავიკში და, როგორც ჩანს, უპირატესი პოზიცია მიიპყრა შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხში, რეიგანმა ხელი არ აიღო „ვარსკვლავეთის ომებზე“, და ახლა დასავლეთ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მიიჩნევენ, რომ სწორედ იგია რეიკიავიკის შეხვედრის წარუმატებლობის მიზეზი. ამქამად სათუო გახდა შეიარაღების საკითხში პოლიტიკის რეიგანისეული დასაბუთება.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის „სათადარიგო“ კაბინეტის წევრმა დ. დევისმა განაცხადა, რომ დიდად გაუცრუვდა იმედი და წუხს, რადგან რეიკიავიკის შეხვედრაზე ვერ მოხერხდა დიდმნიშვნელოვანი მორიგების მიღწევა, უწინარეს ყოვლისა შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში, იმის გამო, რომ ამერიკის მხარემ არ მოინდომა არაფრის დათმობა. ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამამ შეაფერხა მნიშვნელოვან შეთანხმებათა მიღწევა, განაცხადა მან. ვაშინგტონს არ უნდა მიეცეს ნება ცალმხრივი წესით გამოიტანოს გადაწყვეტილებანი უშიშროების პრობლემებზე ევროპის ქვეყნების აზრის გაუთვალისწინებლად.

ვენა. ავსტრიის ტელევიზიის გადაცემაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი რეიკიავიკის შეხვედრაზე გამოვიდა განიარაღების პრობლემათა შესახებ კონკრეტულ წინადადებათა მთელი პაკეტით. ეს წინადადებანი, რომლებიც ეხებოდა ყველა პრობლემას, უმნიშვნელოვანესია შინაარსით, მაგრამ ისინი უარყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც, როგორც ცხადყო რეიკიავიკის შეხვედრამ, ესწრაფვის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გეგმების განხორციელებას. ამერიკის ადმინისტრაციის ასეთი პოზიცია საბოლოო ანგარიშით თავად მას აყენებს მძიმე მდგომარეობაში, უმეტველად იწვევს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელი მოკავშირეების, ისე ამერიკელ ამომრჩეველთა უკმაყოფილებას.

კანბერა. „ვარსკვლავეთის ომები“, აღნიშნავს ავსტრალიის ტელე-სი-ეი რადიოსადგური, რეიგანისათვის უფრო მნიშვნელოვანი საქმე აღმოჩნდა, ვიდრე შეიარაღებისადმი კონტროლის მთელი პროცესი. ჩვენ მივიღეთ ახალი დადასტურება იმისა, რაც უკვე ცხადი ხდება წლების მანძილზე: მ. ს. გორბაჩოვი ესწრაფვის შეიარაღების შემცირებას და მზად არის ბევრი რამ დათმოს მისაღწევად, რ. რეიგანს კი არ სურს შეიარაღების შემცირება და მზად არის ბევრი რამე მოიმოქმედოს, რათა თავიდან აიცილოს იგი. ეს სამარცხვინო პოზიციაა.

ბუდაპეშტი. სამწუხაროა, რომ ამერიკის მხარემ ამჯერადაც შეუძლებელი გახადა შეთანხმების მიღწევა, რომელმადაც, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, წერს „ნეფსაბადშაგი“. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ერთგულია პრინციპული პოლიტიკისა, და კვლავაც არ გადაუხვევს მშვიდობის კურსს.

პრაღა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის შედეგები მოწმობს, რომ სსრ კავშირი მოლაპარაკებაზე მოვიდა კონკრეტული წინადადებებით და გამოავლინა გულწრფელი სურვილი მიაღწიოს პროგრესს მნიშვნელოვან სფეროში — გამალებული შეიარაღების ალაგმვის საქმეში, — წერს „რუდე პრავო“. ასევე ცხადია, რომ ამერიკის მხარეს რეიკიავიკში არაფერი ჩამოუტანია ახალი, პოზიტიური, სსრ კავშირისა შეხვედრაზე გამოიჩინა მაქსიმალური პოლიტიკური ნება შეთანხმებისათვის, და მას არ მიუღია ბრალი, რომ შეხვედრა ისე არ დამთავრდა, როგორც ეს სურდა პლანეტის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას.

● პაკისტანი

მუშაობენ ბირთვული იარაღის შექმნისათვის

დელი. პაკისტანის მიერ საკუთარი ბირთვული იარაღის შესაქმნელად სამუშაოთა გაძლიერება ინდოეთის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, განაცხადა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაჟივ განდიმ ავსტრალიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში. „ჩვენ მარტო საკუთარი ინფორმაცია როდი გვაქვს, რომ პაკისტანი მუშაობს ბირთვული იარაღის წარმოებაზე... რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, არ გვსურს შეექმნათ ბირთვული იარაღი და წინააღმდეგობას გავუწევთ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაში ჩვენი ჩათრევის ცდებს. მაგრამ თუ პაკისტანი ბირთვულ იარაღს მიიღებს, ინდოეთი იძულებული გახდება სერიოზულად განიხილოს შექმნილი ვითარების შედეგები“.

როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მეორე ინტერვიუში, რომელიც ინდონეზიელ ჟურნალისტებს მისცა აზიისა და ოკეანიის მთელ რიგ ქვეყნებში მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთს აქვს შესაძლებლობა გახდეს ბირთვული იარაღი, იგი არ დაადგა ბირთვული იარაღის შექმნის გზას და სურს კვლავაც დაიცვას ასეთი პოზიცია.

საქმიან ვითარებაში

ცნობა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ

პეკინი. ამა წლის 6-14 ოქტომბერს პეკინში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის პოლიტიკურ კონსულტაციათა მეცხრე რაუნდი.

კონსულტაციების დროს საბჭოთა მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. როგაჩოვმა და ჩინეთის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ციან ციჩენმა განაგრძეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში კავშირურთიერთობის მდგომარეობის, აგრეთვე ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო და რეგიონალური პრობლემის შესახებ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ გულწრფელად სურთ ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება.

მხარეებმა მიხედეს ძირეულ საკითხებს, რომ გააანალიზონ ამა წლის თებერვალში მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო მოლაპარაკების [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ფიქრები ჩერნობილზე

კიევი. იმ დღეს წვიმდა. დედაქალაქის ზეცა პირველად გაბზარა გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა. თბილი თქროსნი მიესალბუნა აპრილის ბოლო კვირა ახლადამწვანებულ პარკებსა და ბულვარებს. ნაზამთრალ მიწას ერუანტელად დაუარა ფერდობებიდან მოწაწკარე რუებმა. მაისი კარს იყო მომდგარი და გაწყობილებაც სამაისო ჰქონდათ ყველანი. და უცებ ხმა დაირხა: ჩერნობილის ატომურ სადგურში ავარია მომხდარაო! პირველად ეს იმათ გაიგეს, ვინც შამათაკვირას პოლესკოს ავტოსადგურიდან უნდა გამგზავრებულიყო. სადგურის მოედანზე უჩვეულო სიცარიელე სუფევდა, პოლესკოჩერნობილის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა მოულოდნელად შეეწყვიტათ.

ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, დიდი გასაჭირი ეძლევა ჭორს, მითქმა-მოთქმას, ათასნაირ ზღაპარსა და მონაგონს. სანამ მომხდარ უბედურებას ოფიციალურად გვაცნობებდნენ, ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ამბის მოსმენაც მოგვიხდა. შემდეგ, როცა ვითარება მეტ-ნაკლებად გაირკვა და ჯერ საკდესის ცნობა, მერე კი სპეციალისტთა აზრნილი, კომპეტენტური ახრი მოვისმინეთ, მაინცდამაინც არ გაგვიმტყუნებია ისინი, ვინც მეტად მძიმე სურათს გვიხატავდა. მდგომარეობა მართლაც ნაკლებსანუგეშო, უფრო მეტიც, ტრაგიკული აღმოჩნდა. უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა ამის შესახებ, სიტყვის გაგრძელება ზედმეტია, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პირველსავე დღეებში საკუთარი თვალით ვიხილე ჩერნობილის მწარე სინამდვილე. მე ამ მხარეში ხშირად ვყოფილვარ, ხან სოკოსა და კენკრის საკრეფად მივლია, ხანაც მეგობრები წამიყვანია უქსა თუ პრიპიატზე სათევზაოდ. მახსოვს ჩაესის პირველი ბლოკის მშენებლობაც. მწერლების ჯგუფთან ერთად გამოვსულვარ ახალგაზრდა მშენებელთა წინაშე. მაშინ ვის შეძლებოდა აზრად მოსვლოდა, რომ წყალში ჩაიყრებოდა ათასობით ადამიანის შრომა, დიდძალი სახელმწიფო სახსრები, გაიწირებოდა ბევრი სიცოცხლე, უფრო მეტს კი სიკვდილის საფრთხე შეექმნებოდა? ვის შეიძლებოდა წამითაც გაეფიქრა, რომ ეს დიდებული ტყეები და ველ-მინდვრები, ეს წყალუხვი მდინარეები ერთბაშად პირს შეკრავდნენ სულდგმულთა წინააღმდეგ და ყველი წინდაუხედავი ნაბიჯისთვის სასტიკად გვაზღვევინებდნენ? მაშინ ალბათ, არავის. მაშინ უფრო გვხიბლავდა ლამაზი მეტაფორა „მშვიდობიანი ატომი“, რომელიც წარამარა ხმარებისგან თანდათანობით იქცა ჩვეულებრივ ეურნალისტურ შტამპად, გაცვეთილ კლიშედ. დღეს ეს გამოთქმა ირონიულადაც კი ჟღერს. ჩვენდა საკვალალოდ, ატომის ნამდვილი ბუნება სწორედ იმით გამორჩენილ მხედველობიდან, ვინც მოვალე იყო განუწყვეტლივ ეზრუნა სადგურის, მომსახურე პერსონალის, მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. ამ ფაქტს უკვე მიეცა მკაცრი პარტიული შეფასება, დავაქენ მხოლოდ, რომ ჩაესის ახალი ბლოკების მშენებლობაზე არაერთგზის დაურღვევიათ შრომის დისციპლინა. გაზეთმა „ლიტერატურნაია უკრაინამ“ ა. წ. 27 მარტს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ეს კერძო საქმე როდია“. ავტორი ეხებოდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე არსებულ მრავალ ნაკლოვანებას. კერძოდ, აღნიშნავდა, რომ განუწყვეტლივ ირღვევა საშენ მასალათა მიწოდების გრაფიკი. ჩამოთვლილი იყო მრავალი მომწოდებელი ორგანიზაცია, რომლებსაც მნიშვნელოვანი „წვლილი“ შეჰქონდათ მშენებლობის ტემპების ჩაფუშვაში. ზუსტად ერთი თვის თავზე კი დატრიალდა ტრაგედია, რომელმაც გამოაფხიზლა ანა მარტო პირდაპირი დამნაშავენი, არამედ უბედურების სიგნალად შეიჭრა ასობით ოჯახში, შეძრა, აიფორიაქა მთელი ჩვენი ქვეყანა. არადა, ჩაესი ხომ უმძლავრესი იყო სსრ კავშირის ატომურ ელექტროსადგურთა შორის და დიდი წვლილი შეჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგებაში.

ავარიამდე მისი სიმძლავრე აღწევდა 28 მილიონ კილოვატს, რაც მეთორმეტე ხუთწლედში 2,5-ჯერ უნდა გაზრდილიყო. მაგრამ ცალკეულ პირთა უპასუხისმგებლობამ, მინდობილი საქმისადმი დაუდეკარმა დამოკიდებულებამ, გაბერილი ციფრების წყალობით თავის გამოჩენის სურვილმა გამოიწვია აურაღდების შენელება, უსაფრთხოების ტექნიკის უგულებელყოფა, რამაც ოცდაექვსი აპრილის ღამეს კულმინაციას მიაღწია. შემდგომმა მოვლენებმა უფრო მკაფიოდ გამოაჩინა ზოგი ხელმძღვანელის მორალური სახე, რომლებსაც არ ეყოთ მოქალაქეობრივი სიმამაცე, უბრალოდ რომ ვთქვათ, ელემენტარული სინდისიერება და ბედის ანაბარა მიატოვეს ისინი, ვისგანაც ჯერ კიდევ გუშინ ხმამაღლა მოითხოვდნენ საქმის ერთგულებას. სწორედ მათზე თქვა პოეტმა ბორის ოლეინიკმა, სული შავად დაეშალათო. რა თქმა უნდა, მსგავსნი ერთეულები იყვნენ და ამაზე იქნებ აღარც ღირდეს სიტყვის გაგრძელება, მეტისმეტად ძვირად რომ არ უჯდებოდეს საზოგადოებას მათი უღირსი საქციელი. ასეთები ყოველთვის იყვნენ და, ალბათ, იქნებიან კიდეც, ოღონდ ღმართმა ნუ ქნას, რომ მათ გასაქანი ჰქონდეთ. ისინი უნდა მოვიკვეთოთ როგორც ავთვისებიანი სიმსივნე. გმირობისა და თავდადების ის უმარავი მაგალითი, ავარიამ რომ შვა. თავისთავად ჩრდილავს, თრგუნავს იმ ერთეულთა სულიერ სიღატაკესა და უბადრუკობას.

საზოგადოება, ხალხი, ერი, ქვეყანა ამაყობს და შთამომავლობას გადასცემს იმ ლეგენდარული ოცდარვა მეხანძრის თავგანწირვას, რომლებიც, პანფილოველთა დარად (ეს შედარება პირველად პოეტმა ლევ ოშანინმა იხმარა!), ზედ მოსკოვის კარიბჭესთან რომ შეაჩერეს მტერი, პირველნი ეკვთნენ გამძვინვარებულ ხანძარს და მოთოკეს იგი. ეურუანტელს ჰგვრის კაცს ინეინერ პრიანიშნიკოვის ხსენება, რომელმაც აშკარა რისკის ფასად გაიარა რთული გვირაბი და ავარიულ რეაქტორქვეშ მაკონტროლებელი აპარატურა დააყენა, ან მედიცინის პოდპოლკოვნიკ სალეევის შემართება, რომელიც ნებაყოფლობით გავიდა რადიოაქტიური მტვრითა და გრაფიტის ნამსხვრევით სავსე რეაქტორის სახურავზე და თავისი უჩვეულო რეიდის წყალობით სამუალება მისცა სპეციალისტებს ზუსტად განესაზღვრათ სარკოფაგის გუმბათის პარამეტრები.

განა ერთი და ორი, ასობით ნოვატორი და ხელმარჯვე გამოავლინა ჩერნობილმა. მხოლოდ პირადი ინიციატივა, მხოლოდ პირადი ნება-სურვილი ამოძრავებდა და ამოძრავებს ყველას, ვინც დღითი დღე ავიწროებს რადიაციის მოქმედების არეს.

ავარია მოხდა... უპრეცედენტო, ჯერ არნახული. თითქმის ყველაფერი, რაც მისი შედეგების სალიკვიდაციოდ კეთდება, კეთდება პირველად. მსოფლიოში ჯერ არავის ჰქონია რადიაციასთან ბრძოლის ასეთი გლობალური გამოცდილება. არც მეცნიერებისა და ტექნიკის ამდენ თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს უთანამშრომლია ასე მხარდამხარ, ყოველგვარი მიმოწერისა და ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე წყდება საკვანძო საკითხები, იქმნება საპირო ტექნიკა, მზადდება ხელსაწყოები. დასასრულს უახლოვდება უმნიშვნელოვანესი ნაგებობის — „სარკოფაგის“ მშენებლობა. ეს არის უნიკალური საინჟინრო კომპლექსი, რომელიც საიმედოდ ჩაკეტავს დაზიანებულ რეაქტორს. სამანქანო დარბაზისგან, სადაც რადიოაქტიური ვითარება ნორმალიზებულია და ადამიანები მუშაობენ, იგი გამოყოფილია ტყვიის ფურცლებით დაფარული კედლით. სარკოფაგის სხეულში ჩასხმულია 340 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, დამონტაჟებულია სამი ათას ტონამდე ლითონკონსტრუქცია, ჩაწყობილია 340 ათასი კვადრატული მეტრი რკინაბეტონის ფილა, ათხრილია ასიათასობით კვადრატული მეტრი გრუნტი. ვიდრე ბლოკის დახურვას შეუდგებოდნენ, უნდა დაეწიათ რადიაციის დონე.

ამ მიზნით რეაქტორის მიმდებარე ტერიტორია ბეტონის ფენით დაფარეს და მიწე მოხრეშეს. რეაქტორი დაკონსერვებულია, სპეციალური დამცველი მასა გამორიცხავს რადიოაქტიურ ამოფრქვევას. რეაქტორში მიმდინარეს სათბობის დაშლის ბუნებრივი პროცესი. თბოცვლის უზრუნველსაყოფად სარკოფაგის შიგნით დამონტაჟებულია მძლავრი საკონდილაციო სისტემა.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ჩაესის ნაწილობრივი აღორძინება. ხუთთვიანი დუმილის შემდეგ ამუშავდა პირველი ბლოკის პირველი ტურბოგენერატორი.

— რადიაციის აღუა გარღვეულია, — ამბობს მთავარი ინჟინრის მოადგილე ალექსანდრე ევგენის ძე სმოლიაევი. — რეაქტორის მუშაობის რეჟიმი ნორმას შეესაბამება. მალე მეორე ბლოკსაც ავამოქმედებთ. რაც შეეხება მესამეს, მისი ჩართვა გათვალისწინებულია 1987 წლის პირველი ნახევრისათვის, დეზაქტივაციის დამთავრებისა და აღდგენითი სამუშაოების შემდეგ.

როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, გამორიცხულია დაზიანებული რეაქტორის შემდგომი ზემოქმედება გარემოზე. თითქმის სამოცდაათი მეტრი სიმაღლის სარკოფაგი, რომლის მშენებლობამაც ამდენი სულიერი, ფიზიკური და ფინანსური ძალისხმევა მოითხოვა, უნდა იქცეს, უფრო სწორად, უკვე იქცა სასტიკ გაფრთხილებად, თუ რა საშინელებანი შეიძლება დაატრიალოს ატომურმა ენერგიამ, როცა მის კონტროლს შეავასუსტებთ ან სპეციალურად გამოიყენებთ ადამიანთა წინააღმდეგ. ჩერნობილის გაკვეთილს ალბათ არაერთგზის დაუბრუნდებიან მეცნიერები, პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწენი. ჩერნობილი გვასწავლის სიფხიზლეს, სისპტაკეს, სიზუსტეს, სამშობლოსათვის თავდადებას. ხუთთვეზე მეტი გავიდა, რაც მდინარე პრიპიატის ნაპირებზე ადამიანმა საკვკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ყველაზე დაუნდობელ და ვერაგ მტერს — რადიაციას. შედეგები იმედის მომცემია. როგორც უკრაინის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ანატოლი მიხეილის ძე კასიანენკომ განაცხადა, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გამა-ფონი ნორმალიზებულია (იგი აწეულია მხოლოდ 30 კილომეტრიან ზონაში). მკაცრი სანიტარიული კონტროლია დაწესებული სურსათ-სანოვაგისადმი, მათ ცალ-ცალკე ამოწმებენ როგორც ჯანდაცვის, ასევე აგრომრეწვის უწყებები. სუფთაა და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ხილბოსტნეული, ასევე სოკოც. რადიოაქტიური იოდი გამორიცხულია რძესა და რძის პროდუქტებში, რადიონუკლიდები არ არის არც ხორცში. დაშვებულია სპეციალური თევზჭერა კიევისა და კანევის წყალსაცავებში. ნებადართულია ნადობაც, ცხადია, გარკვეული ტერიტორიის გამოკლებით, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იდეალურ ვითარებას, მაგრამ უდავოა, რომ უმთავრესი საფრთხე უკან დარჩა. და აქ შეუძლებელია ისევ არ გავიხსენოთ მამაცი მეხანძრეები, რომელთაგან სამს ამ დღეებში (ორს სიკვდილს შემდეგ) საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. მათი და მათი კოლეგების უბადლო სიმამაცე რომ არა, ვინ იცის, კიდევ რა უბედურებას დაგვატეხდა თავს გაცოფებული ატომური ჯინი! თითქოს მათზე დაუწერიაო პოეტს: „მე თუ არ დავიწერ, შენ თუ არ დაიწერ, ის თუ არ დაიწერა, ბნელს რა გაანათებს!“

ეგზამარიტად!

რაულ ჩილაჩავა,

ჩერნობილი-კიევი-თბილისი, ოქტომბერი, 1986 წ.

მსოფლიო ჩემპიონატი ფიქრაკში

პრეტენდენტის ბოლო ტაიმ-აუტი

ბორჯომი. მოუადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახბილოსკაიას შორის მატჩში შესვენებამდე თავისი ბოლო ტაიმ-აუტი ერთ-ერთ ტენდენტმა აიღო.

მატჩის ანგარიშია 7,5:4,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ, მაგრამ ბოლო ტურამდე ორ-ორ ქულას ერთ-ერთ მარტიში ითამაშებენ ორსავე ქალაქის ჟურნალისტები.

ეს ტაიმ-აუტი, რომელშიც ეთქმოდა ... ... მსოფლიო ჩემპიონი, რეგლამენტით 16 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

ოლიმპიადები — 2-2 წლის შემდეგ?

ლოზანაში გრძელდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესია, რომელმაც ოლიმპიური მოძრაობის ბევრი საკითხი და პრობლემა უნდა გადაჭრას. კერძოდ, აირჩევენ ოლიმპიური კომიტეტის ალი ვიცე-პრეზიდენტს, მოისმენენ მომავალი ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტებისა და სხვადასხვა კომისიის ანგარიშებს, დასახელებული იქნება ის ქალაქები, რომელთაც 1992 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების მასპინძლობის უფლება მიეცემათ. მწვავე დისკუსია გაიმართება ოლიმპიური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე... არცთუ დიდი ხნის წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიამ დასაშვებად მიიჩნია, რომ სეულის ოლიმპიადაზე ასპარეზობის ნება დართონ პროფესიონალ ფეხბურთელებს, ჰოკეისტებს, ჩოგბურთელებსა და ცხენოსნებს, ამის წინააღმდეგ გამოდიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომმა გადაწყვიტა, რომ ლოზანის სესიაზე დააყენოს საკითხი ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების მონაცვლეობით გამართვის თაობაზე. კერძოდ, ფიქრობენ რომ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადები ერთსა და იმავე წელს უკანასკნელად 1992 წელს გაიმართება, შემდეგ კი „ზამთრისა“ მოეწყობა 1994 წელს, ზაფხულისა კი 1996 წელს და ასე შემდეგ — 2-2 წლის ხანგამოშვებით.

სატურნირო ორბიტა

რიგები. მას შემდეგ, რაც საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის თითქმის ყველა მატჩი გაიმართა, გუნდები გთამაშების ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 102 ქულა, მოსკოვის „სლავა“ — 92, მოსკოვის „ფილი“ — 82, ალმა-ათის ასკ — 77, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 75, კიევის „ავიატორი“ — 73, კრასნოიარსკის „ეფსკავატორტიაფსტროი“ — 70, ქუთაისის „შუნგენელი“ — 66 ქულა. გასამართავია ჩემპიონატის კიდევ 3 მატჩი. 14 და 15 ოქტომბერს კიევში 2 შეხვედრას გამართავენ „ავიატორი“ და „ფილი“. 16 ოქტომბერს კი ქუთაისში ერთი მატჩი მოეწყობა ადგილობრივ „შუნგენელს“ და სამხედრო-საჰაერო კლუბის გუნდს შორის. მოსალოდნელია, რომ ამ მატჩების შედეგებმა „ავიატორს“ მეოთხე ადგილზე გადანაცვლების შესაძლებლობა მისცეს. გაისად ამ რეა საუკეთესო გუნდთან ერთად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ ლენინგრადის „პრომორეცი“, ტორპედოლი „ელექტრომაში“, ოგორეთი, თბილისის კიევტიგები „შევარდენი“ და „ლოკომოტივი“. ამ ოთხივე გუნდმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება დამატებით ტურნირში მოიპოვა.

მეკლდეურობა. გაგრიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: მეტეოის რაიონის სოფელ ხაშის საშუალო სკოლის ფიზიკურ-ზრდის მასწავლებელმა **ნინა ჭაკდუამ** ბზიფის ხეობის კლდეებზე გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ყველას აჯობა წყვილთა გარბენში და ქალთა შორის ამგვარ შეჯიბრებათა ისტორიაში პირველად დაეუფლა ოქროს მედალს.

მძლეოსნობა. ბაქოში გამართულ 26 კომისრის მემორიალზე სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონმა, სოხუმელმა ტარიელ ბიწაძემ ბირთვის კვრაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა: მან ორჯერ იასპარეზა, პირველად, როცა ბირთვი 200 გრამით უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ნორმით ბის გთვალიწინებული, ბირთვი 20,46 მეტრზე სტყორცნა, მეორედ კი 19,20 მეტრზე. პირველ შემთხვევაში მან II ადგილი დაიკავა, მეორეში — III.

კალათბურთი. კაუნასში უმაღლესი ლიგის ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: კაუნასის „ჟალგირისი“-რიგის ვეფი — 88:99 (48:55), ვილნიუსის „სტატბა“-დონეცკის „შახტიორი“ — 80:67 (33:38). ერთი ტურიც და, კაუნასის ეტაპის შეხვედრები დამთავრდება. მომდევნო ეტაპის მატჩები დაიწყება 22 ოქტომბერს დონეცკში, ალმა-ათასა და რიგაში. თბილისს „დინამოელები“ დონეცკში ითამაშებენ. დონეცკის ტურში დინამოელთა კალენდარული შეხვედრების განრიგი ასეთია: **22 ოქტომბერი.** მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“; **23 ოქტომბერი.** კაუნასის „ჟალგირისი“-თბილისის „დინამო“; **24 ოქტომბერი.** თბილისის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“.

...ვიწყებთ პრემიერით

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

ოთხ ოქტომბერს მეტეხის თეატრ-სტუდიამ სეზონი გახსნა პრემიერით. წარმოდგენილი იყო ეგინონშვილის „პარტახი“ და დ. კლდიაშვილის „უბედურება“, სპექტაკლის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი **მ. გაბუნია** ესაუბრა თეატრის მთავარ რეჟისორს **სანდრო მრევლიშვილს.**

— რას ველტყვით სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, როგორია თქვენი თეატრის ხვე და რამდენად განსხვავებულია სადღესასწაულო სპექტაკლები ძველისაგან?

— სეზონის გახსნა არა მარტო სასიხარულო მოვლენაა, არამედ ფრიად მნიშვნელოვანი ზღვარიც არის წარსულ ძიებათა და ამ ძიების ახალ მიმართებას შორის. თეატრის განვითარება ხშირად „ნახტომისებურია“ — სპექტაკლების სერიალში დაგროვილი ან მათში მიმოფანტული „მარგალიტები“ უცბად იყრიან თავს ერთად, ერთ სპექტაკლში, მსახიობებისა და რეჟისორის ნამუშევარში. ასეთი სპექტაკლი განსაზღვრავს თეატრის სახეს, ამთავრებს ერთი მიმართებით ძიებას, რის შემდეგაც უსათუოდ უნდა დაიწყოს თვისებრივად ახალი მხატვრული სტილისტიკა, თორემ თეატრი მოკვდება შემოქმედებითად. ვფიქრობ, მაყურებელი და თეატრალური კრიტიკა მომთმენი უნდა იყოს ასეთი „მიმოქცევის“ ჟამს...

წლევანდელ სეზონში ჩვენც შევეცდებით თავი მოვუყაროთ, თვისებრივად განვაახლოთ თუკი რამ საინტერესო გვიპოვია ჩვენი მცირე ბიოგრაფიის მანძილზე. ვეცდებით ავრეთვე უკომპრომისონი ვიყოთ მხატვრული სრულყოფის გზაზე. ეგონი, ეს ტენდენცია უკვე გამოჩნდა სპექტაკლში, რომლითაც დავიწყეთ ახალი შემოქმედებითი წელიწადი. ეს გახლავთ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „პარტახის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი დავით კლდიაშვილის „უბედურების“ განახლებულ დადგმასთან ერთად. ჩვენთვის ეს სპექტაკლი საპროგრამოა მომავალ ძიებათა თვალსაზრისით.

— რა ძირითადმა პრობლემებმა წამოიწია წინ და როგორი დრამატურგიის საჭიროება იგრძნობა დღეს თქვენს თეატრში?

— დღეს საერთოდ ქართულ თეატრში, ჩემი აზრით, საჭიროა მასშტაბური აზროვნების დრამატურგია. ფსიქოლოგიური დრამისა და აბსურდის თეატრის ხერხების ფორმალური შეერთება სახარბიელოდ არ მიმიჩნია. ჩვენი დღევანდელობა გულახდილობის რეალური დანერგვაა. დრამატურგიას ჩვენი ყოფის, წარსულისა და სამომავლო პრობლემების განზოგადებული, ადამიანის უბრალო საქციელზე დაყრდნობილი, მაგრამ მასშტაბური ვნებებით აღსავსე შინაარსი სჭირდება, მაგალითისათვის ჩინგიზ . აითმათოვის პროზას მოვიყვან. მართალია, ეს ლიტერატურის სხვა სახეობაა, მაგრამ მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის — საოცნებო დრამატურგიაში; და კიდევ ერთი რამ. ჩვენ ხშირად გვაკმეყოფდება, რომ თვით სიტყვა „დრამატურგია“ ორი ძირისაგან შედგება: „დრამოს“ — „მოქმედება“ და „ურგია“ — „შექმნა. ასე რომ, სათეატრო მწერლობა, უპირველესად, „მოქმედების შექმნაა“, და არა ყოველდღიური, საპირბოროტო საკითხებზე გაუთავებელი ტირილ-ჩივილი.

— იქნებ ზოგადად მაინც შეეხოთ იმ პრობლემებს, რომლებიც თქვენ პირადად, როგორც რეჟისორს, გაწუხებთ. მხედველობაში გვაქვს თემა, ფორმა, მხატვრული ხერხები.

— პირადად მე მაღელვებს სანახაობისა და ფსიქოლოგიური სწყინის შერწყმის პრობლემა თეატრალურ „ღრეობაში“ — „დღესასწაულში“. ჩემი აზრით, ეს არის ქართული თეატრის უმთავრესი, სშტაბური აზროვნების დრამატურგია. ფსიქოლოგიური დრამისა და აბსურდის თეატრის ხერხების ფორმალური შეერთება სახარბიელოდ არ მიმიჩნია. ჩვენი დღევანდელობა გულახდილობის რეალური დანერგვაა. დრამატურგიას ჩვენი ყოფის, წარსულისა და სამომავლო პრობლემების განზოგადებული, ადამიანის უბრალო საქციელზე დაყრდნობილი, მაგრამ მასშტაბური ვნებებით აღსავსე შინაარსი სჭირდება, მაგალითისათვის ჩინგიზ . აითმათოვის პროზას მოვიყვან. მართალია, ეს ლიტერატურის სხვა სახეობაა, მაგრამ მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის — საოცნებო დრამატურგიაში; და კიდევ ერთი რამ. ჩვენ ხშირად გვაკმეყოფდება, რომ თვით სიტყვა „დრამატურგია“ ორი ძირისაგან შედგება: „დრამოს“ — „მოქმედება“ და „ურგია“ — „შექმნა. ასე რომ, სათეატრო მწერლობა, უპირველესად, „მოქმედების შექმნაა“, და არა ყოველდღიური, საპირბოროტო საკითხებზე გაუთავებელი ტირილ-ჩივილი.

— იქნებ ზოგადად მაინც შეეხოთ იმ პრობლემებს, რომლებიც თქვენ პირადად, როგორც რეჟისორს, გაწუხებთ. მხედველობაში გვაქვს თემა, ფორმა, მხატვრული ხერხები.

— პირადად მე მაღელვებს სანახაობისა და ფსიქოლოგიური სწყინის შერწყმის პრობლემა თეატრალურ „ღრეობაში“ — „დღესასწაულში“. ჩემი აზრით, ეს არის ქართული თეატრის უმთავრესი, ...